

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს, უზრუნველყოფს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას და მუდმივად ზრუნავს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე.

ფაკულტეტზე ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსებული 50 მდე სამეცნიერო პროექტი ხორციელდება. ყოველწლიურად საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით და სამეცნიერო კვლევის შედეგების უცხოურ ჟურნალებში პუბლიცირებით ღრმავდება კონტაქტები სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან თუ უნივერსიტეტებთან.

ინფორმაციას ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევებისა და სხვა სამეცნიერო აქტიურობის შესახებ ფაკულტეტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშში გაეცნობით.